



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება № 137

2011 წლის 28 ოქტომბერი

ქალაქი ხაშური

„საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 ივლისის #1402 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 ივლისის #90 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება „საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 ივლისის #1402 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 ივლისის #90 განკარგულებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი 500 000 ლარის ფარგლებში განსახორციელებელი ცალკეული ღონისძიებების მოცულობა და სამუშაოთა ნუსხა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში მდინარე სურამულას წმენდის სამუშაოების“ ღირებულება \_ 144 373 ლარის ოდენობით;

ბ) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი სამუშაოების“ ღირებულება \_ 145 000 ლარის ოდენობით;

გ) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში ხიდების არდგენის სამუშაოების“ ღირებულება \_ 195 751 ლარის ოდენობით;

დ) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ქალაქ ხაშურსა და დაბა სურამში დასუფთავების ღონისძიებების“ ღირებულება \_ 11 009 ლარის ოდენობით;

ე) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებზე სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის“ ღირებულება \_ 3 867 ლარის ოდენობით;”

2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის: ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. #2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

